ევროპის ოქროს ჩოგნები

ლუქსემბურგი, 8 აგვისტო. ევროპის მოყვარულ ჩოგბურთელთა III ჩემპიონატი საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე წარმატებით დამთავრდა: ოქროს 5 მედლიდან მათ ოთხი მოიხვეჭეს.

ერთეულთა თანრიგში ძლიერნი იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონები — მოსკოველი თ. მოროზოვა და თბილისელი ა. მეტრეველი. მოროზოვამ გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა ბაქოელი ე. ბირიუკოვა (6:1, 6:4), ხოლო მეტრეველმა საუცხოოდ ითამაშა და სძლია უნგრელ ს. ბარანის (6:1, 6:3, 6:0).

ქალთა წყვილებში ჩემპიონები გახდნენ მოროზოვა და რიგელი ზ. იანსონი.

დღეს გაიმართა უკანასკნელი შეხვედრები — შერეული და ვაჟთა წყვილების ასპარეზობა. შერეულ წყვილთა თანრიგის ფინალში საბჭოთა დუეტები შეხვდნენ ერთმანეთს: მოროზოვამ და მეტრეველმა დაამარცხეს მ. კრომინა (ალმა-ათა) და ს. ლიხაჩოვი (ბაქო) — 7:5, 6:3.

ვაჟთა წყვილების ფინალურ მატჩში მეტრეველი — ლიხაჩოვის დუეტმა მარცხის სიმწარე იწვნია პოლონელთაგან: საბჭოთა ჩოგბურთელები დამარცხდნენ ვ. გონშორეკ — ტ. ნოვიცკის წყვილთან — 6:1, 3:6, 2:6, 6:2, 4:6.

• • •

სურათზე: ა. მეტრეველი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

ალექსანდრე მეტრეველი — კონტინენტის სამგზის ჩემპიონი

ჩემპიონმა გაიმარჯვა, გუნდმა წააგო...

დონის როსტოვი, 7 აგვისტო. სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდური პირველობის II ტურში მძაფრი ბრძოლით აღინიშნა „ლოკომოტივისა“ და „ავანგარდის“ შეხვედრა. შესანიშნავად ითამაშეს უკრაინის მოჭადრაკეებმა („ავანგარდი“), რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 5,5:3,5.

დიდი ინტერესი გამოიწვია გუნდების ლიდერების — მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკისა („ლოკომოტივი“) და დიდოსტატ ლ. შტეინის („ავანგარდი“) შეხვედრამ. სპასკიმ დებიუტში უპირატესობა მოიპოვა, შტეინმა ენერგიული კონტრთამაში გააჩაღა. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი მარჯვედ განაგრძობდა ბრძოლას და 41-ე სვლაზე შტეინი დამარცხდა.

2 ტურის შემდეგ ლიდერობს „ბურევესტნიკი“. იგი უფრო გაძლიერდა — ბრძოლაში ჩაება მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი, რომელმაც ამას წინათ ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირში (იბმ) I ადგილი დაიკავა.



და კიდევ პრიზები...

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე დააწესა სამი წამახალისებელი პრიზი რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივებისთვის, რომელთა რიგებში რაც შეიძლება მეტი მოსწავლე და განათლების ორგანოების მუშაკი იქნებოდა.

ეს ჯილდოები მოიხვეჭეს რსფსრ-ს, მოლდავეთისა და საქართველოს გუნდებმა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 159
(4409)

1971 წ.
10 აგვისტო,
სამშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

მეოთხედ!

სუბოტიცა (იუგოსლავია), 8 აგვისტო. საბჭოთა კალათბურთელ გოგონათა ნაკრები გუნდის ტრიუმფით აღინიშნა აქ დამთავრებული IV ევროპული ჩემპიონატი: სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მეოთხედ მოიხვეჭეს ოქროს მედლები.

ფინალურ მატჩში საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 72:56 (38:28) სძლია ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებს.

III ადგილი დაიკავა ბულგარეთის ნაკრებმა.

კალათბურთი

როცა გაზეთი საბეჭდად მზად იყო... 19^{45}

◆ **მიუნხენი, 9 აგვისტო.** 12 ქვეყნის 125 ველოსიპედისტმა მიიღო მონაწილეობა მომავალი ოლიმპიური თამაშების ტრასაზე — გაიმართა ჯგუფური საგზატკეცილო რბოლა. ფინიშთან პირველი მიიჭრა მშვიდობის უკანასკნელ ველორბოლაში გამარჯვებული რ. შურკოვსკი (პოლონეთი): 182 კმ მან 4 საათში, 34 წუთსა და 27 წამში დაფარა. ზ. ხანუშჩიკი თანამემამულეს 41 წამით ჩამორჩა, მერე კი ფინიშის ხაზი ერთდროულად გადაკვეთა 8 მრბოლელმა, რომელთა შორის იყვნენ ლენინგრადელი ვ. ნელიუბინი და მინსკელი ნ. დმიტრუკი. ამ ჯგუფის წევრთა დროა 4:37.42.

◆ **ბრნო, 9 აგვისტო.** მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისის პროგრამით ადგილობრივ ტრეკზე გამართულ ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ველოსიპედისტები. 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ყველას აჯობა საგზატკეცილო გუნდურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მ. პურხლამ (ჩეხოსლოვაკია) — 5.00,6. მას მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩა ომსკელი ვ. საბლუკოვი. 1 კილომეტრზე გიტში I და II ადგილები შესაბამისად დაიკავეს მასპინძლებმა გ. ვაცკარმა (1.09,8) და ი. ტკაჩმა (1.10,0). III ადგილზეა ერევნელი ს. კოპეკიანი (1.10,1), IV — კიშინიოველი ა. ხრისტენოკი (1.12,8). ტანდემისტთა შეჯიბრების სტარტზე გამოვიდნენ ი. კუჩირეკი — გ. პოპელკა (ჩეხოსლოვაკია) და ბ. პეტროვი — ი. კონსტანტინოვი. პირველი ხერია მასპინძლებმა მოიგეს, მეორე — ტულელმა პეტროვმა და მოსკოველმა კონსტანტინოვმა.

რეკორდები

ხარკოვი, 7 აგვისტო. ადგილობრივ „დინამოს“ ტრეკზე ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ხარკოვის სპორტკლუბ „მეტალისტის“ წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა პ. კოვალჩუკმა: მან საკავშირო რეკორდი დაამყარა 100-კილომეტრიან რბოლაში — 2.25.13,85. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძველი მიღწევა (იგი 2,5 წუთით ჩამოუვარდება ახალს) 15 წლის წინათ იქნა ნაჩვენები.

ლოს-ანჯელესი, 8 აგვისტო. 18 წლის კარენ მოუმ (აშშ) აქ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში — 2.18,59.

ტალინი, 8 აგვისტო. ძალოსნობის ცნობილი ესტონელი პოპულარიზატორის გ. ტენის მემორიალში მოასპარეზე ი. ტალტსმა (მძიმე წონა) დღეს აქ სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სამჭიდში ამ შესანიშნავმა ათლეტმა 585 კგ დააგროვა, რაც მოსკოველი ვ. იაკუბოვსკის სარეკორდო ჯამს აღემატება. ტალტსის შედეგები აჭიმვასა (206 კგ) და აკვრაში (217,5 კგ) 2,5-2,5 კილოგრამით სჯობს უწინდელ მსოფლიო რეკორდებს, ხოლო ატაცში ნაჩვენები 162,5 კგ ტალინელი ძალოსნის პირადი რეკორდია.

სურათზე: ი. ტალტსი პარიზში ჟ. დამის მემორიალში ასპარეზობისას. მან მაშინაც დაამშვენა შეჯიბრება: აჭიმვაში მსოფლიო რეკორდი (208 კგ) დაამყარა. სწორედ ეს მომენტია ამ ფოტოზე აღბეჭდილი.

ფრანს-პრეს — საკდესის ტელეფოტო.

როცა გაზეთი საბეჭდად მზად იყო... 19^{45}

ახალი ამბები-71

● **რომი, 7 აგვისტო.** სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბის წყალბურთელთა გუნდმა იტალიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში II ადგილი დაიკავა. მოსკოველთა გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „პრო რეკო“ (გენუა), „რაპიდი“ (ბუქარესტი) და „ბარსელონა“ (ესპანეთი). საბჭოთა გუნდმა მხოლოდ შეჯიბრებაში გამარჯვებულთან — „პრო რეკოსთან“ იწვნია მარცხის სიმწარე — 5:9 (3:2, 0:2, 1:3, 1:2).

● **ლიუბეკი** (გფრ), 8 აგვისტო. „ბალტიის თასის“ ტრადიციულ გათამაშებაში საბჭოთა ძალოსნები წარმატებით გამოვიდნენ: მათ ოქროს 6 მედალი მოიხვეჭეს. აი, ვინ გახდა ამ ტურნირის ოქროს ლაურეატი: ა. გნატოვი (ლვოვი), რ. ბელენკოვი (მინსკი), მ. კირჟინოვი (მოსკოვი), ბ. პავლოვი (უკრაინა), ვ. კოლოტოვი (პერვოურალსკი) და ვ. იაკუბოვსკი (მოსკოვი).

● **ბუქარესტი, 8 აგვისტო.** რუმინეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა I ადგილი დაიკავა. ბოლო, გადამწყვეტ მატჩში მან სძლია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს — 3.1 (15:10, 15:10, 5:15, 15:9). მომდევნო ადგილებზე არიან: რუმინეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის ნაკრები კოლექტივები, რუმინეთის ახალგაზრდული გუნდი და გფრ-ის ნაკრები.

● **ერევანი. 8 აგვისტო.** მძაფრი ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი „არარატისა“ და სარაევოს „ჟელეზნიჩარის“ (იუგოსლავია) ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური მატჩი. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1 (1:0).

● **მოსკოვი, 8 აგვისტო.** ლუჟნიკის სტადიონის საჩოგბურთო ქალაქის კორტებზე დღეს აქ დაწყებული მოსკოვის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ზუსტად ერთ კვირას გასტანს. ბრძოლაში ჩაებმება სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის 80 ჩოგბურთელი. მაგრამ ჯერჯერობით ტურნირის ყველა მონაწილე როდი ჩამოვიდა მოსკოვში: ევროპის ჩემპიონატში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ საბჭოთა ოსტატები ლუქსემბურგიდან მოგვიანებით დაბრუნდებიან. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოსკოველებმა დღეს კორტზე კვლავ იხილეს სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონები — ახლა უკვე ახალგაზრდა დედები: კიეველი გ. ბაკშეევა და მოსკოველი მ. ჩუვირინა. ამ წყვილმა დაამარცხა ლ. კარპოვასა (ალმა-ათა) და ნ. თუხარელის (თბილისი) დუეტი — 6:2, 6:2.

● **ათენი, 8 აგვისტო.** ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრების ოთხ ტურში ერევნელმა რ. ვაგანიანმა 2,5 ქულა მოაგროვა და IV-V ადგილებს იყოფს ფილიპინელ ე. ტორესთან. ტურნირს 3,5-3,5 ქულით ლიდერობენ კ. როგოფი (აშშ) და ვ. ჰიუგი (შვეიცარია). III ადგილზეა რ. ბორნგასერი (გფრ).

ახალი ამბები-71

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსმენები — წესრიგის სადარაჯოზე

ბედნიერი ვარსკვლავის საიდუმლო

სურათზე: გ. ყაჭეიშვილი.

ავტორის ფოტო.

ზოგზე იტყვიან, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო. ერთი შეხედვით ასეთი კაცია ბათუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორთა ჯგუფის მეთაური გიორგი ყაჭეიშვილი. მაგრამ ეს ბედნიერი ვარსკვლავი გიორგიმ თვითონ, საკუთარი ხელით გამოძერწა.

17 წლისა იყო, როცა ორ თვეს ივარჯიშა, საჭიდაო ხალიჩაზე გამოვიდა და... ქალაქის ჩემპიონი გახდა „კლასიკოსთა" შორის, თანაც ჭაბუკებში კი არა, უფროს მოჭიდავეებში. 18 წლისამ ხელი ეტკინა, საავადმყოფოში მკურნალობდა და ორი წლის მანძილზე სარბიელზე აღარ გამოსულა. არც ამ ხნის განმავლობაში დაუსვენია—საკუთარი სისტემით ვარჯიშობდა. მაგრამ მწვრთნელებმა ა. მიმინოშვილმა და გ. თარგამაძემ კიდევ წლის ბოლომდე არ მიაკარეს ხალიჩას. მერე კი გიორგიმ ჩემპიონის ტიტული დაიცვა.

1960-1963 წლებში გიორგი აჭარისა და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია, თანაც თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში.

მაგრამ უცნაური რამ ზოგჯერ სპორტშიც ხდება. 1962 წელს სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც ვიტებსკში ჩატარდა, გიორგიმ ხუთი შეხვედრა მოიგო (ჩემპიონიც დაამარცხა!), ერთი ფრედ დაამთავრა და მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა წააგო. მიუხედავად ამისა, მას მხოლოდ IV ადგილი ხვდა. ყაჭეიშვილმა „რევანში" საქართველოს პირველობაში იღო. სადაც თავისუფალი სტილით ჭიდაობაში III ადგილი დაიკავა, „კლასიკოსთა" შორის კი მეორე იყო.

გ. ყაჭეიშვილს სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭეს კლასიკურ ჭიდაობაში. 1968 წელს მას სამბოში ჰქონდა დებიუტი. ეს კიშინიოვში მოხდა, სადაც საკავშირო პირველობა ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. გიორგის ჯიუტი მეტოქე — ქვეყნის ექს-ჩემპიონი ბრატკო შეხვდა. ორთაბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, გამარჯვებას კი პირი არ უჩანდა. ყაჭეიშვილმა მაინც შენიშნა, რა უფრო უჭირდა მის მეტოქეს. გამარჯვება ქართველ მოჭიდავეს დარჩა. ამ გამარჯვებამ გიორგის IV ადგილი მოუტანა, სამაგიეროდ, საქართველოს გუნდი I ადგილზე გავიდა.

ახლახან გიორგიმ ძნელი გამოცდა ჩააბარა საქართველოს V სპარტაკიადაში: თავისუფალ ჭიდაობაში მძიმე წონის ათლეტთა შორის მას III ადგილი ხვდა. გაითვალისწინეთ, რომ გიორგი ძალიან იშვიათად იცლიდა სავარჯიშოდ — მისი სამუშაო დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

აი, ერთი მაგალითი: დღის 12 საათზე ხაშურის მცხოვრები ა. გეგელაშვილი ჩაჯდა სხვის „ვოლგაში", რომელიც [illegible] ბაზართან იდგა და დიდი სისწრაფით გაიჭრა. გიორგი იქვე ახლოს იყო. ხალხის ყვირილი რომ გაიგონა, მაშინვე გამვლელი მანქანა გააჩერა, დამნაშავეს გაეკიდა და მალე დაეწია კიდეც.

...მორიგეობა მთავრდებოდა, როცა გიორგის კაბინეტში დაბნეული შოფერი შევიდა, ამბობდა, საბუთები და 1300 მანეთი დავკარგეო. სთხოვა, მომეცით ცნობა, რომ მართლა შოფერი ვარო. გიორგიმ გამოარკვია, რომ ქურდობა იმ დროს მოხდა, როცა შოფერს ვიღაც უცნობ ხალხთან ქეიფი ჰქონდა გამართული. ეს ხალხი სადგურში თვითონ გიორგიმ დააკავა. მანქანაში მანვე იპოვა დაკარგული საბუთები და ფული. გამოცდილი თაღლითები მ. ზუხბაია და გ. ვარდანია ამჯერად ვეღარ გადარჩნენ.

...არ დაგავიწყდეთ, გიორგის წარჩინებით აქვს დამთავრებული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ეს ცოდნა ხშირად ძალიან ეხმარება საქმეში, მანქანების შემოწმება იქნება, თუ სხვა რამ.

შრომის სიყვარული და მოვალეობის დიდი გრძნობა — აი, სულ ეს არის მილიციის ლეიტენანტ გიორგი ყაჭეიშვილის ბედნიერი ვარსკვლავის საიდუმლო.

ვ. ბუკინი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

სიახლენი ჩემპიონთა სამჭედლოში

ინტერვიუ

უკვე თორმეტი წელია, რაც ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს გლდანის №1 სპორტული სკოლა-ინტერნატი. ამ სასწავლებელში დავაჟკაცდნენ და დიდ სპორტს ეზიარნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა სამი სპარტაკიადისა და საბჭოთა ქვეყნის რვაგზის ჩემპიონი ომარ ფხაკაძე, სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში, მეხიკოს ოლიმპიური თამაშების მონაწილე ჯ. ჯუდაშვილი, ცნობილი სპორტსმენები ქ. გორძამაშვილი, ც. ჯაფარიძე, ვ. რეხვიაშვილი, მ. ასიტაშვილი, თ. გრძელიშვილი, ც. ლიპარტელიანი, ა. ბაგაური, თ. მდინარაძე...

1967 წლიდან 1-ელ სკოლა-ინტერნატს მხარში ამოუდგა გლდანის მე-2 სპორტული სკოლა-ინტერნატი, რომლის ნორჩმა აღსაზრდელებმა უკვე მოასწრეს თავის გამოჩენა და ხშირად წარმატებით გამოდიან მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

შარშან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით ამ სასწავლებლის ცხოვრებაში არსებითი ცვლილებები მოხდა, როცა შეიქმნა სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატები.

ჩვენი კორესპონდენტი სკოლაში მომხდარი სიახლეების შესახებ ესაუბრა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრს, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსს რ. კანდელაკს.

● სპორტული პროფილის რამდენი სკოლა-ინტერნატი იმუშავებს საქართველოში და როგორი იქნება ამ სკოლების კონტინგენტი?

— 1971-72 სასწავლო წელს ჩვენში იმუშავებს ორი სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატი, რომლებშიც 630 მოსწავლე აიმაღლებს სპორტულ ოსტატობასა და საერთო ცოდნის დონეს.

● ბოლო წლებში გლდანის 1-ლი სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლეების წარმატებებმა საკავშირო სარბიელზე საგრძნობლად იკლო. თქვენი აზრით, რა არის ამ წარუმატებლობის მიზეზი?

— რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა წარუმატებლობის მიზეზი ის გახლავთ, რომ კონტინგენტი ორივე სპორტულ სკოლა-ინტერნატში არ იყო სრულად დაკომპლექტებული, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა სწავლებისთვის დაწესებულმა გადასახადმა. ამასთან, რაიონების სპორტული სკოლების ხელმძღვანელობა და მწვრთნელები არ გვეხმარებოდნენ ნიჭიერი, კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე ახალი კადრების მოწოდებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილების საფუძველზე აღნიშნული სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები თავისუფალი არიან ყოველგვარი გადასახადისგან.

ამ სასწავლებლის მოსწავლეებისთვის დაწესებული კვების ნორმა 20 პროცენტით მეტია სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელების ნორმასთან შედარებით. სპორტული ფორმით აღსაზრდელებს უფასოდ მოამარაგებს სკოლის დირექცია.

მოსწავლე, რომელიც ჩაირიცხება სკოლა-ინტერნატში, დარჩება იმ სპორტული სკოლის, ჯგუფისა და მწვრთნელის აღსაზრდელთა სიაში, სადაც ის ოსტატდებოდა. მოზრდილთა II თანრიგის მქონე აღსაზრდელის მწვრთნელი სკოლა-ინტერნატში ჩარიცხულის მეორე მწვრთნელად რჩება ამ სკოლის დამთავრებამდე. ეს იმისთვის კეთდება, რომ რაიონების სპორტული ჯგუფების მწვრთნელები უფრო დაინტერესდებიან მათი აღსაზრდელების სპორტულ სკოლა-ინტერნატებში მოწყობით.

● რა სახეობები იქნება კულტივირებული გლდანის 1-ელ და მე-2 სკოლა-ინტერნატებში და როგორი ყურადღება ექცევა სპორტული ბაზების მშენებლობას ამ სკოლების ტერიტორიაზე?

— სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა ჩვენი რესპუბლიკისთვის დააწესა შემდეგი სახეობები: მძლეოსნობა, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, სამბო, ველოსპორტი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, სპორტული ტანვარჯიში. წლეულს ამ სა[illegible]ბს დაემატება ცურვა და ფარიკაობა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს სკოლის სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხს.

გლდანის 1-ელ სკოლა-ინტერნატში მთავრდება რესპუბლიკაში უდიდესი მძლეოსნური მანეჟის მშენებლობა, აშენდა ფეხბურთისა და მძლეოსნობის სტადიონები. გლდანის მე-2 სკოლა-ინტერნატში მწყობრში ჩადგა ჩოგბურთის 6 მოედანი, რომელსაც სულ მალე შეემატება კიდევ 4 კორტი. სწორედ ამ ბაზების არსებობამ განაპირობა ჩოგბურთის ჯგუფების შენარჩუნება ამ ინტერნატში.

გამოყოფილია სახსრები, მზადაა ტექნიკური დოკუმენტაცია და ვიმედოვნებთ, მშენებლები მალე შეუდგებიან სამდარბაზიანი სპორტული კორპუსისა და 25-მეტრიანი დახურული საცურაო აუზის მშენებლობას.

● როდის იწყება მისაღები გამოცდები და როგორი მონაცემების აღსაზრდელები მიიღებიან აღნიშნულ სასწავლებლებში?

— სპორტულ სკოლა-ინტერნატებში მისაღები გამოცდები დაიწყება 20 აგვისტოს. სადაც მიიღებენ IV-IX კლასის მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ კარგი ჯანმრთელობა, მრავალმხრივი ფიზიკური განვითარება და სპორტული მომზადების შესაბამისი დონე.

საუბარი ჩაიწერა ი. იუნაევმა.

ვეტერანი პასუხს ელის...

ამას წინათ კასპში ვიყავი — რაიონის ჭაბუკ მოჭიდავეთა საინტერესო შეჯიბრებას დავესწარი. ჩემს გვერდით სპორტის ვეტერანი, 75 წლის კავთისხეველი მოხუცი ი. ქსოვრელაშვილი იჯდა. მართალია, გული დასწყდა, როცა მისმა შვილიშვილმა წააგო, მაგრამ გუნება მაინც არ წახდენია. ასეც უნდა ყოფილიყო: თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში 93 ახალგაზრდა ჩაება და ბევრმა ისახელა თავი.

მათ შორის იყვნენ ა. მაღალაშვილი მეტეხის საშუალო სკოლიდან — რესპუბლიკის ჩემპიონი ჭაბუკ სამბისტთა შორის, თავისუფალი სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა რესპუბლიკური ტურნირის პრიზიორები: იგოეთელი ვ. ქეთიშვილი, კასპელი ვ. რამაზაშვილი.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს კასპელმა შ. კაციაშვილმა, იგოეთელმა შ. ქივიძემ, კასპელმა გ. ნადირაშვილმა, ზემოხანდაკელმა გ. იორდანიშვილმა, მეტეხელმა ჯ. ნაბახტეველმა. მათგან ზოგმა მოიპოვა რაიონის ჩემპიონის სახელი მოსწავლეთა შორის, ზოგმა ვერა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყველას თავდავიწყებით უყვარს სპორტი.

ახლა ისევ იმ ვეტერანს დავუბრუნდეთ. სწორედ მან აღნიშნა იმ დღეს, საჭიდაო ხალიჩა კალათბურთის დარბაზშია დაგებულიო, კალათბურთელთა შეჯიბრებები კი რატომღაც დიდი ხანია აღარ გვინახავსო. მართლაც, რაიონში ბევრი კარგი კალათბურთელია, მაგრამ ეს სახეობა მაინც მიივიწყეს. 1962 წელს ბავშვთა სპორტსკოლაში კალათბურთის (ისევე როგორც ფეხბურთისა) ჯგუფი დაიხურა.

...გულნატკენი არიან მაგიდის ჩოგბურთელებიც. მათი მწვრთნელი გ. ოთარაშვილი საქმეს მონდომებას არ აკლებდა. 1965-66 წლებში მისი აღსაზრდელები მხოლოდ ბათუმელ მოსწავლეებს ჩამორჩებოდნენ. მაგრამ 1967 წელს ბავშვთა სპორტსკოლაში ეს ჯგუფიც დაიხურა. გადაწყვეტილება ასე გაამართლეს: კასპის რაიონში მთავარი აქცენტი ჭიდაობაზე უნდა გადაიტანოთო. სწორედ [illegible] ნუგეშია სხვა სახეობათა მოყვარულებისთვის!

კავთისხეველი მოხუცი ამბობდა, რომ ამ საკითხს [illegible] უნდა მიაქციოს ყურადღება საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ. მისი აზრით, მთავარია სპორტის მასობრიობა.

ვეტერანი პასუხს ელის...

ვ. ბუკია.

(ჩვენი სპეც. კორ.).

კასპი.

მეგობართა შეჯიბრებები

სამარყანდი, 7 აგვისტო. „უზბეკეთში გამართული შეხვედრები მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის ჩვენი მზადების მნიშვნელოვან ეტაპად იქცა", — განაცხადა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრმა ჰ. შაბანამ. მან ხოტბა შეასხა სპორტული ნაგებობების ხარისხს, უზბეკეთში ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სისტემასა და წვრთნის მეთოდიკას.

სსრ კავშირ—არაბეთის სპორტის კვირეულის ჩარჩოებში (ეს ღონისძიება პირველად მოეწყო) უზბეკეთს ეწვივნენ არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელები, აგრეთვე, გუნდი, რომელშიც შედიოდნენ მძლეოსნები, მოჭიდავეები, ძალოსნები და მოცურავეები. ტაშკენტში გამართული შეჯიბრების შემდეგ მოეწყო სპორტსმენთა ერთობლივი გამოსვლები სამარყანდში.

მაყურებლები გულთბილად შეეხალმნენ სტუმრებს, სიგრძეზე მხტომელ ამინა მაჰმუდ მოჰამედს, რომელიც [illegible] ვანში იყო. ამჯერად მან ლ. ზიგაძოვს (უზბეკეთი) ტოლი არ დაუდო — [illegible] შედეგი აჩვენა. მაგრამ [illegible] ხელი აუწია ამინას, ვინაიდან სტუმარმა წინასწარ ცდებში უკეთესი შედეგები მიაღწია.

მეორე [illegible] 1500 მეტრზე რბენაში: [illegible] პირველი იყო არაბი [illegible].

სამარყანდელებმა სტუმრებს უზბეკური ეროვნული ჭურჭელი მიართვეს, რომელზეც „2500"-ია წარწერილი — ამდენი წელი შეუსრულდა ამას წინათ სამარყანდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატი ჩილიში

ძველი ბლოკნოტიდან

მაისის შუა რიცხვებში გუნდი კოსტა-რიკასა და კოლუმბიას გაემგზავრა, იქიდან კი გეზი აიღო ქალაქ არიკისკენ, სადაც თავს იყრიდნენ ჩვენი ჯგუფის გუნდები — იუგოსლავიის, კოლუმბიის, ურუგვაის ფეხბურთელები.

მე ფიფა-ს კონგრესის დელეგატად ამირჩიეს და ნ. ლატიშევთან ერთად გავფრინდი პირდაპირ სანტ-იაგოში, სადაც ჩემპიონატის სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო მუშაობა მსოფლიოს ამ უმაღლესმა საფეხბურთო ორგანომ.

გასავლელი გვქონდა მთელი ევროპა კოპენჰაგენიდან ლისაბონამდე, დაკარი, მთელი სამხრეთ ამერიკა. ეს გზა ჩვენთვის ნაცნობი გახლდათ, რადგან ნახევარი წლის წინ სწორედ ამ ტრასაზე ვიფრინეთ, ოღონდ აქეთ და არა იქით.

კოპენჰაგენიდან გაფრენის წინ ილუმინატორთან მჯდომმა ნიკოლოზ ლატიშევმა ხუმრობანარევი სერიოზულობით გამოგვიცხადა: ვხედავ, თვითმფრინავს ტვირთავენ, ჩვენი ჩემოდნები კი არ ჩანსო (ყოველ შემთხვევაში, ჩემი მაინცო). ჩვენ ამაზე, რასაკვირველია, ბევრი ვიცინეთ.

მაგრამ ამჯერად პოლიციის ზოგიერთი ჩინოსანი მართლაც განსაკუთრებით დაინტერესდა ჩვენით. მაგალითად, ჟენევაში, აეროვოგზალში რომ ვსეირნობდით, რადიოთი მიგვიხმეს პოლიციაში. ყველა მგზავრს დიდი ხნის ალებული ჰქონდა პასპორტი, ჩვენ და ერთ ჩვენს ჩეხოსლოვაკიელ კოლეგას კი ეს საქმე ბოლო წუთებში პოლიციაში გაგვიხდა მოსაგვარებელი.

რამდენიმე უმნიშვნელო შეკითხვის შემდეგ (ამ დროს პოლიციელები პირდაპირ თვალებით გვჭამდნენ) პასპორტები მივიღეთ. დაახლოებით იგივე გამეორდა ბუენოს-აირესის აეროპორტში. ჩვენ იქაც პოლიციაში მიგვიწვიეს, სხვა მგზავრებს კი პასპორტები თვითმფრინავში მოართვეს.

ბინდდებოდა, როცა ატლანტის ნაპირები დავტოვეთ და წყნარი ოკეანის სანაპიროსკენ — სანტ-იაგოსკენ ავიღეთ გეზი. გზა კორდილიერების თავზე გადიოდა, რომელიც ასე კარგად აქვს აღწერილი ფრანგ მფრინავს სენტ ეგზიუპერის. დღესაც თვალწინ მიდგას მაშინდელი საოცარი სურათები. მზერას ვერ მოსწყვეტდი მზის სხივებით წითლად აფერადებულ მთის პეიზაჟს. სანტ-იაგოში რომ ჩავფრინდით, უკვე ბნელოდა.

...კონგრესი მალე დამთავრდა. იგი ტარდებოდა დარბაზში, სადაც მაღალი წახნაგოვანი კოლონები იდგა, უზარმაზარი ძველმოდური ჭაღები ეკიდა და კედლებზე მუქი ხავერდი იყო გაკრული. საქმიანი ვითარება სუფევდა. ყველა საკითხი სულ რამდენიმე წუთში წყდებოდა უბრალო კენჭისყრით, ისე, რომ თარჯიმნები რიგრიანად ვერც კი ასწრებდნენ ჩვენთვის ამა თუ იმ გადაწყვეტილების გაგებინებას. მაგრამ, რაკი საერთოდ ვიცოდი, რა საკითხებს განიხილავდა კონგრესი და გადაწყვეტილებათა პროექტებსაც ვიცნობდი, ხელს მაშინ ვწევდი, როცა პრეზიდიუმში მჯდომი გრანატკინი აწევდა. სხვა შემთხვევაში თავს ვიკავებდი. თქვენ წარმოიდგინეთ, ფიფა-ს პრეზიდენტის, სერ სტენლი როუზის არჩევაც კი წინასწარ საუცხოოდ მომზადებულ ვითარებაში მოხდა და სულ შვიდ წუთს გაგრძელდა.

ორივე თავისუფალი საღამო ჩვენი ანსამბლის „ბერიოზკას" სპექტაკლებზე გავატარეთ და მისი უდიდესი წარმატების მოწმენი გავხდით. სპექტაკლებში მონაწილეობდა ვალერი ვორონინის მეუღლე ვალია პტიცინა და ეს მაყურებელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. გაზეთები ბეჭდავდნენ იაფფასიან სენსაციებს ასეთი სათაურებით: „დრამატული სიყვარული: ცოლი ბალერინაა, ქმარი — ფეხბურთელი, ცოლი სანტ-იაგოშია, ქმარი — არიკაში. მათი შეხვედრა მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ საბჭოთა ფეხბურთელები ნახევარფინალში გავლენ და სანტ-იაგოში ჩამოვლენ".

ხალხი კითხულობდა და თეატრს აწყდებოდა.

...ჩემპიონატის გახსნა სანტ-იაგოში, ახალრეკონსტრუირებულ „ესტადიო ნასიონალზე" მოეწყო. სტადიონის რემონტი ის-ის იყო დაემთავრებინათ და მოაჯირების ცისფერი საღებავი ჩილის ჩემპიონატის გახსნის სამახსოვროდ შემოგვრჩა ლაბადებზე.

ტრიბუნებიდან მშვენიერი დათოვლილი კორდილიერები ჩანდა. სტადიონზე ნემსი არ ჩავარდებოდა. საზეიმო განწყობილება სუფევდა.

ტრადიციისამებრ, ამ დღეს მინდორზე მასპინძლები შედარებით სუსტ გუნდს უნდა შეხვედროდნენ. ეს საჭირო იყო ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებისთვის და... შემოსავლისთვის.

ჩილიელებმა შვეიცარიელები აირჩიეს და გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 3:1. დღემდე არ მავიწყდება, როგორ დარბოდა ტრიბუნების წინ, ექსტაზით შეპყრობილი როგორ გაჰყვიროდა რაღაცას და ხტოდა ლ. სანჩესი, რომელმაც პირველი გოლი გაიტანა. მაყურებლებმა მას ოვაცია გაუმართეს.

მაგრამ ჩვენ არიკაში უნდა გავფრენილიყავით. თვითმფრინავი ნახევარ საათში გადიოდა. გრანატკინი, ნაზაროვი და მე აეროპორტისკენ გავცვივდით.

ჩვენ დიდ ტრანსატლანტიკურ ლაინერებს ვიყავით შეჩვეული, აქ კი პატარა ჩილიურ თვითმფრინავში ჩაგვსვეს, რომელიც საათში 300 კილომეტრზე მეტს ვერ გადიოდა. არიკა სანტ-იაგოს 2000 კილომეტრზე მეტითაა დაშორებული. ხანგრძლივი, მოსაწყენი მგზავრობა გველოდა.

დიდხანს ვხედავდით მარცხენა ილუმინატორში მხოლოდ წყნარ ოკეანეს, მარჯვენაში — კორდილიერის მთებს.

მაგონდება, პარლამენტში რომ ვიყავით, ერთ-ერთმა დეპუტატმა ხუმრობით თქვა: „იცით, რატომ აკლია ჩილიელთა თამაშს გაქანება? იმიტომ, რომ ბურთი მთებს ხვდება და მერე სამუდამოდ ზღვაში იძირება"...

თექვსმეტი ფინალისტიდან არც ერთს არ სურდა წასვლა არიკაში, რომელსაც უდაბნოს დედაქალაქს ეძახიან, სადაც წვიმა წელიწადში ორჯერ ძლივს მოდის. მაგრამ კენჭისყრამ თავისი გაიტანა და იძულებული გავხდით უდაბნოს გზას დავდგომოდით.

არიკაში შუაღამისას ჩავფრინდით. აეროდრომიდან, თუკი ასე შეიძლება ეწოდოს გოფრირებული ლითონისგან ნაკეთებ უზარმაზარ ბარაკს, ქალაქისკენ სიბნელეში ჩაფლულ ქვიშაში გაყვანილ გზატკეცილს მივყვებოდით.

დილით ჩვენს ფეხბურთელებს შევხვდით, რომლებსაც უკვე ძველ არიკელებად მიაჩნდათ თავი. მათ გაგვაცნეს ამ უდაბნოს ქალაქის ყველა ღირსშესანიშნაობა. არიკაში მცენარე არ იზრდება, აქ უფრო მოყვითალო-მორუხო — უდაბნოს ფერი ჭარბობს. ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, რომ ქალაქი მართლაც უწყლო უდაბნოს საზღვარზეა. მოწყენილ რუხ ფონზე ერთი მწვანე ლაქაც არსად ჩანს.

მეორე დღეს ჩვენი ფეხბურთელები ბრძოლაში ჩაებნენ. პირველ მეტოქედ კენჭისყრამ იმ დროს ძლიერი იუგოსლაველთა გუნდი შეგვახვედრა.

მატჩის ირგვლივ დიდი მითქმა-მოთქმა იყო. სპორტული მიმომხილველები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა იუგოსლავიის გუნდს ორჯერ გადაუკეტეს საპატიო კვარცხლბეკისკენ გზა. პირველად ეს მოხდა მელბურნში, ოლიმპიური თამაშების დროს, მეორედ კი პარიზში — ევროპის თასის გათამაშების ფინალში.

ვარაუდობდნენ, რომ მატჩი ორმაგი რევანში იქნებოდა.

ბუნებრივია, ჟურნალისტები მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენს დელეგაციას, კერძოდ კი მის ხელმძღვანელ ე. ვალუევს. ეს უკანასკნელი ფეხბურთში რიგით მოყვარულზე უკეთ ვერ ერკვეოდა და ამიტომ ძალიან უჭირდა. ამასთან, იგი ცოტა არ იყოს ქედმაღლურად უყურებდა ჟურნალისტებს, რის გამოც ადგილობრივი პრესის ბევრი მწარე სიტყვა დაიმსახურა. თითქოს ჯიბრზე, ჩვენმა თარჯიმანმა კარგად არ იცოდა ესპანური, რის გამოც ვალუევისა და ჟურნალისტების საუბარს კიდევ უფრო აბნევდა. ერთხელ გაზეთ „კონკორდიაში" ასეთი რეპლიკა დაიბეჭდა: „თუ მისი პროფესია რუსულიდან ესპანურ ენაზე თარგმნაა, ამ თარჯიმანს შიმშილით სიკვდილი არ ასცდება".

არ ვიცი, „ნერვების ომის" ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო თუ არა ეს, მაგრამ ჩილის დილის გაზეთებში იუგოსლაველ ფეხბურთელთა საკმაოდ ოპტიმისტური აზრები ამოვიკითხეთ.

როგორც ცნობილია, მატჩი სსრ კავშირის ნაკრებმა მოიგო. ვ. ივანოვისა და ვ. პონედელნიკის დარტყმებმა პირზე კლიტე დაადო პროგნოზების მოყვარულებსა და „ფსიქოლოგიური იერიშების" ორგანიზატორებს. თამაში უხეში იყო. ჩვენი მცველი ე. დუბინსკი მწყობრიდან გამოვიდა, დაშავდნენ ვ. პონედელნიკი და ს. მეტრეველი. ადგილობრივმა გაზეთმა „კონკორდიამ" წერილი დაბეჭდა ასეთი სათაურით: „მატჩის შემდეგ ბევრი დაიჭრა და დაშავდა"...

...ჩვენი ფეხბურთელების გზა ოქროს ქალღმერთისკენ ჩილიელებთან მეოთხედფინალურ მატჩში შეწყდა. საბჭოთა გუნდზე ძლიერნი იყვნენ? არა, მაგრამ მათ ძალიან კარგად გამოიყენეს ჩვენი ნაკლოვანებები. ლ. სანჩესის მიერ საჯარიმო დარტყმით გაგზავნილი ბურთი ტყვიასავით შეიჭრა ჩვენს კარში. ამ გოლს საბჭოთა გუნდმა შტურმით უპასუხა და სწრაფადაც მიაღწია წარმატებას. ჩილიელთა მეკარე ესკუტიმ მოიგერია მამიკინის დარტყმა, მაგრამ მესხმა ხელთ იგდო ბურთი, სწრაფად გაიჭრა წინ და ზუსტად მიაწოდა ჩისლენკოს. ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

შვებით ამოვისუნთქეთ. ჩვენი გუნდის უპირატესობა აშკარა იყო. მიუხედავად ამისა, ერთი წუთის შემდეგ ჩვენს კარში მეორე ბურთი გავიდა.

არ გვესიამოვნა, მაგრამ კიდევ გვქონდა იმედი, რომ ჩვენი ფორვარდები ამ გოლის გაქვითვასაც შეძლებდნენ.

მართლაც, მეორე ტაიმის პირველივე წუთებიდან ბოლომდე ინიციატივა ჩვენს მხარეზე იყო. ჩილიელები დროდადრო მთელი გუნდით უკან იხევდნენ. კარზე იერიშები არ შეწყვეტილა. მესხის დარტყმული ბურთი ერთხელ ძელს მოხვდა. ასევე მოეცარა ხელი პონედელნიკსაც. ჩისლენკოსა და ვორონინის კომბინაცია თამამად მოთამაშე ესკუტიმ ჩაშალა. კვლავ დარტყმები, კვლავ ამაოდ. ჩვენი ფეხბურთელები ძალიან ხშირად ცდებიან. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავს მამიკინი.

ისტორია გამეორდა: შვეციაში მეოთხედფინალური მატჩი წავაგეთ შვედებთან, ჩილიში — ჩილიელებთან.

არიკა გამარჯვებულებთან ერთად დავტოვეთ. ქალაქიდან აეროპორტისკენ რამდენიმე კილომეტრზე გზის ორივე მხარეს აღტაცებული გულშემატკივრები გამწკრივებულან, აფრიალებენ ჩილის სამფეროვან დროშებს, ყვირიან, ცეკვავენ, მღერიან...

მ. მერჟანოვი.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 132, 134, 135, 137, 138.

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა IV ზონა

მოგვყავს 6 აგვისტოს ტურის შედეგები: „ტრუდი" (ვორონეჟი) — „სპარტაკი" (სარანსკი) 4:2, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „დინამო" (ვოლოგდა) 1:0, „მოტორი" (ვლადიმირი) — „დინამო" (კიროვი) 1:0, „სპარტაკი" (კოსტრომა) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 2:0, „სატურნი" (რიბინსკი) — „სპარტაკი" (რიაზანი) 0:4.

ფინალს ორი მატჩი დასჭირდა

სსრ კავშირის 1971 წლის საფეხბურთო თასის მფლობელის ვინაობა მხოლოდ ორდღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაირკვა. 7 აგვისტოს ფინალისტებმა — მოსკოვის „სპარტაკმა" და როსტოვის არმიელთა გუნდმა ფრედ (2:2) დაამთავრეს დაძაბული შეხვედრის ძირითადი დრო, ხოლო დამატებითი 30 წუთის შემდეგ ანგარიში უცვლელი დარჩა.

საჭირო გახდა დამატებითი თამაშის ჩატარება 8 აგვისტოს. ორივე გუნდის მწვრთნელებმა ცვლილებები შეიტანეს თავიანთ კოლექტივებში — გამოიყვანეს რამდენიმე ახალი, დასვენებული მოთამაშე და ბრძოლა ხელახალი ძალით გაჩაღდა. საბოლოოდ, სპარტაკელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 1:0.

დრამატული იყო პირველი მატჩი. ისევე, როგორც 1969 წლის ფინალურ შეხვედრაში ლვოვის „კარპატისთან", თავდაპირველად როსტოველები დაწინაურდნენ. თამაში ახალი დაწყებული იყო, როცა ნახევარმცველმა კუჩინსკასმა დაახლოებით 35 მეტრიდან დაარტყა კარში. სპარტაკელთა მეკარე ბაუჟა იმ კუთხეში იდგა, საითაც ბურთი მიდიოდა, მაგრამ განძრევაც კი ვერ მოასწრო, ბურთი ტყვიასავით გავიდა „ცხრიანში" — 1:0.

3 წუთის შემდეგ (მე-6 წუთზე) მოსკოველებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა: მარჯვენა ფლანგზე გათამაშებული კომბინაციის შედეგად მირზოევმა ზუსტად მიაწოდა საჯარიმო მოედნის ცენტრში, ბურთს მიუსწრო ჰუსაინოვმა და თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

შემდგომში არმიელები კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ. ეს მოხდა მეორე ტაიმში, როცა ჩიხლაძემ ინდივიდუალური გარღვევა კარგი გადაცემით დაამთავრა: მეტოქის კარის წინ ღიად იყო დარჩენილი ჩინჩენკო და ამ უკანასკნელის ზუსტმა დარტყმამ მიზანს მიაღწია — 2:1.

როსტოველები თავგანწირვით იბრძოდნენ მოგების შესანარჩუნებლად. ისინი სულ ახლოს იყვნენ მიზანთან. ძირითადი დრო დასასრულს უახლოვდებოდა და მაშინ, როცა სოხუმელი არბიტრის ა. მილჩენკოს საფინალო სასტვენს სულ 25 წამი აკლდა, სპარტაკელთა მარჯვენა მცველმა ლოგოფეტმა თითქმის მთელი მინდორი განვლო ბურთით, გავიდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მინდორთან და მარჯვენა ფლანგიდან დაარტყა კარში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო საგოლე დარტყმა, მაგრამ როსტოველთა მეკარე კუდასოვმა ხაზედისწერო შეცდომა დაუშვა, ვერ შეძლო დაბალი ბურთის აღება და კარისკენ შეუცვალა მას მიმართულება — 2:2.

აუწერელი ჯაფით მოპოვებული წარმატება წყალში გადაიყარა. არმიელებმა ხელიდან გაუშვეს თითქმის უკვე განაღდებული გამარჯვება და ხელახლა შეუდგნენ ბრძოლას. დამატებით 30 წუთს, როგორც აღვნიშნეთ, შედეგი არ მოჰყოლია.

8 აგვისტოს თასის მაძიებლები კვლავ გამოვიდნენ ლუჟნიკის სტადიონზე. სპარტაკელებს თავიანთი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე თასის მატჩებში უკვე ჰქონდათ განმეორებითი ფინალური მატჩის ჩატარების პრაქტიკა (1965 წელს მათ მინსკის „დინამოსთან" ფრედ ითამაშეს (0:0) და მხოლოდ განმეორებით მატჩში მოიპოვეს გამარჯვება — 2:1).

პირველი ტაიმი მათ შედარებით უფრო ფრთხილად, დაბალ ტემპში ჩაატარეს. შეიძლება, ისინი ძალ-ღონეს ინახავდნენ მეორე ნახევრისთვის. ყოველ შემთხვევაში, როსტოველებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ 45 წუთის მანძილზე: უტევდნენ გაშლილი ფრონტით, ენერგიულად, დიდი ძალებით. კავაზაშვილის კართან ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ არმიელთა გუნდმა ვერ შეძლო ვერც ერთი მათგანის გამოყენება.

როცა შესვენების შემდეგ განახლდა თამაში, ნათელი შეიქნა, რომ მოსკოველებს გაცილებით მეტი ძალა და ენერგია შემორჩენოდათ. ტაიმი მათი სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და როსტოველები მხოლოდ კონტრიერიშების იმედით იყვნენ.

მატჩის ბედი გადაწყდა 55-ე წუთზე. „სპარტაკის" მორიგი შეტევისას არმიელთა კართან კრიტიკული მომენტი შეიქმნა. კუდასოვმა შეძლო კისელიოვის ძნელი ბურთის მოგერიება, მაგრამ მის მახლობლად თავშეყრილ მოთამაშეთაგან ბურთს ისევ კისელიოვმა მოუსწრო და ახლო მანძილიდან გაგზავნა ბადეში — 1:0.

როსტოველებს ჰქონდათ რამდენიმე კარგი მომენტი, კერძოდ, ბოლო წუთებზე მოგილნის ძლიერი დარტყმის შემდეგ „სპარტაკი" იღბლად გადაურჩა საპასუხო გოლს.

მოსკოვის „სპარტაკი" გახდა სსრ კავშირის თასის მფლობელი. ეს მისი მეცხრე გამარჯვებაა ამ საპატიო პრიზის გათამაშების ისტორიაში.

დაწინაურდნენ ქართველი პიონერები

ორენბურგი, 7 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის პიონერ მოშაშეთა აქ მიმდინარე გუნდურ პირველობაში 4 ტურის შემდეგ დაწინაურდა საქართველოს ნაკრები, რომელმაც IV ტურში მოუგო კალინინის (რსფსრ) წარმომადგენლებს — 2,5:1,5.

გოგონათა დაფაზე ლიდერობს თამარ გამხიტაშვილი — 4 ქულა 4-დან (თითოეულ გუნდში 3 ბიჭი და 1 გოგოა).

ვ. ნინუა,
გუნდის მწვრთნელი.

ნაკრებში...

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელებმა ვ. ნიკოლაევმა და ა. პარამონოვმა პოლონეთის გუნდთან შესახვედრად ჩვენი ქვეყნის ნაკრებში მიიწვიეს 15 მოთამაშე: **მეკარეები** — ე. რუდაკოვი („დინამო", კიევი) და ვ. პილგუი („დინამო", მოსკოვი); **მცველები** — რ. ძოძუაშვილი, მ. ხურცილავა („დინამო", თბილისი), ა. შესტერნიოვი (ცსკა), ა. ჟურავლიოვი („ზარია"), ვ. მატვიენკო („დინამო", კიევი); **ნახევარმცველები** — ო. დოლმატოვი („ყაირათი"), ა. კონკოვი („შახტიორი", დონეცკი), ვ. კოლოტოვი („დინამო", კიევი), ნ. დოლგოვი (ცსკა); **თავდამსხმელები** — ა. კოჟემიაკინი, გ. ევრიუჟიხინი („დინამო", მოსკოვი), ვ. დუდარენკო (ცსკა), გ. ნოდია („დინამო", თბილისი).

სტარტზე — ნორჩი მეხანძრეები

ქუთაისის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმელების ნაკრები გუნდების მე-6 რესპუბლიკური შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებით სპორტში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურის, მახარაძის, თელავისა და ახალციხის წარმომადგენლები.

ტურნირის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ დაიწყო ასპარეზობა 80 (მოზარდებისთვის) და 100-მეტრიანი (ჭაბუკებისთვის) დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ფოთის ნაკრებმა.

80-მეტრიანი დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში საქართველოს ჩემპიონი გახდა ქუთაისელი ე. უგრეხელიძე (19,01), 100-მეტრიან მანძილზე კი I ადგილი დაიკავა ბ. ოგანესიანმა (აფხაზეთი) — 19,09.

საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მეორე სართულზე ასვლაში (მოზარდები) ყველას აჯობა გ. მეტვანიძემ (აჭარა) — 9.02. კოშკის მე-3 სართულზე ასვლაში (ჭაბუკები) I ადგილი ფოთელ ა. კიზირიას ხვდა — 12,4 წამი.

საინტერესო იყო სახანძრო ესტაფეტა 5X80 მეტრზე ადვილად წვადი სითხეების ქრობით. გაიმარჯვა ქუთაისის ნორჩ მეხანძრეთა ნაკრებმა — 16,22,5.

ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმელების საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაისაკუთრა ფოთის გუნდმა (მწვრთნელი ნ. ბეჟუა), რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი. II ადგილზეა ქუთაისის ნაკრები, III — ახალციხელთა კოლექტივი.

დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც საკავშირო პირველობაში (კიევი) იასპარეზებს.

ბ. ციცხლაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი.

სურათზე: სახანძრო ესტაფეტის მომენტი.

გ. ნალჯიანის ფოტო.

დოსააფის სპორტსმენებთან

სპორტი ეხმარებათ შრომაში

პროლეტარსკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში საინტერესო შეჯიბრება ჩატარდა სამხედრო ხუთჭიდში, ავტომობილის მართვასა და სროლაში.

ტაჯიკეთის ამ ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ მეურნეობაში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტის სამხედრო-გამოყენებით სახეობებს. დოსააფის აქაურ პირველად ორგანიზაციაში დაახლოებით 5 ათასი კაცი ითვლება. ბევრი ახალგაზრდა კოლმეურნე მშთ და „მზად ვარ სამშობლოს დაცვისთვის“ კომპლექსების ნიშნოსანია.

შოფერების, მექანიზატორების, ბამბის ამღები კომბაინების მძღოლთა, რადისტების მზადებას დიდად უწყობს ხელს კოლმეურნეობის სახსრებით ამას წინათ აგებული სპორტულ-ტექნიკური კლუბი.

კლუბის აღზრდილებს, რომლებიც საბჭოთა არმიის რიგებში მიდიან, ხშირად 2 სპორტული თანრიგი აქვთ.

გ. დეინიჩენკო.

პროლეტარსკი,
ტაჯიკეთის სსრ.

საზღვაო კლუბი... მთებში

ინჟინერ-მეტალურგმა ო. მიტრიაევმა აკვალანგისტთა ხალხმრავალი სექცია შექმნა... ურალის მთებში. მის აღსაზრდელებს უკვე კარგად იცნობენ წყალქვეშა სამყაროს არა მარტო ნიჟნი ტაგილის საქალაქო ტბაზე, არამედ წყნარ ოკეანეშიც, საიდანაც სპეციალური ექსპედიციის მონაწილეებმა ჩამოიტანეს გადაღებული კინოფირის მრავალი მეტრი.

აკვალანგისტთა გარდა ქალაქის საზღვაო კლუბის სექციებში გატაცებით მეცადინეობენ წყალსამოტორო და წყალსათხილამურო სპორტის მოყვარულები — 200-ზე მეტი ჭაბუკი და გოგონა.

ნიჟნი ტაგილის ამ პატარა საწყლოსნო სადგურში მრავალი ახალგაზრდისთვის დიდი საოცნებო გზები იხსნება: ისინი შედიან საზღვაოსნო სასწავლებელში, მიდიან ფლოტში სამსახურის მოსახდელად, სადაც მაშინვე შეუძლიათ საუკეთესოდ შეასრულონ მესაჭეების, მენიშნეებისა და მოტორისტთა მოვალეობანი.

ს. კრილოვა.

ნიჟნი ტაგილი.

ჭაბუკებს მოტობურთი შეუყვარდათ

ჩეჩენ-ინგუშეთში ფეხი მოიდგა სპორტის ახალმა სახეობამ, რომლითაც გატაცებულია გროზნოს საწარმოებისა და მშენებლობათა მუშა-ახალგაზრდობა. ქალაქის საქარხნო რაიონთან შექმნილ დოსააფის სპორტულ-ტექნიკურ კლუბთან ჩამოყალიბებულ გუნდს „ისკრა“ უწოდეს.

ახლა „ისკრა“ მარტო როდია. შეიქმნა გუნდები მთიანი რესპუბლიკის სასოფლო რაიონებშიც.

გაიმართა პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი მოტობურთში. წარმატება წილად ხვდათ ისკრელებს, რომლებსაც საკმაო გამოცდილება აქვთ. ახლა ისინი ჩრდილოეთ კავკასიის პირველობისა და რსფსრ-ს ჩემპიონატის მონაწილენი არიან.

გ. ნასონოვი.

გროზნო.

[illegible]

მეტისმეტი არაფერი ვარგა

ფელეტონი

მათეთრებელი ფხვნილის საწარმოო გაერთიანება „თეთრას“ დირექტორი თეთრო თეთრაძე ზეიმით გააცილეს მშობლიური ორგანიზაციიდან, სადაც მან 40 წელი იმუშავა ხელმძღვანელის პოსტზე. პრეზიდიუმიდან ისმოდა გულის ამაჩუყებელი სიტყვები, გრძელ მაგიდაზე დახვავდა ათასნაირი საჩუქარი. ან როგორ შეიძლებოდა სხვაგვარად: კაცმა ოთხი ათეული წელი უმწიკვლოდ იშრომა, ბევრი ჯილდო და ქება მოუხვეჭა გაერთიანებას. ეს იყო მხოლოდ, რომ დირექტორს რატომღაც ეჯავრებოდა ფიზკულტურა და სპორტი: ვინც მას ამაზე სიტყვას ჩამოუგდებდა, მყისვე ისტუმრებდა კაბინეტიდან.

— წელებზე ფეხი დაიდგით, რაც შეიძლება მეტი „თეთრა“! სხვა არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე, — ამბობდა იგი.

გულდაწყვეტილი სპორტის მოყვარულები მხოლოდ ერთმანეთს შესჩიოდნენ. „თეთრაში“ ჩაშლილი ფიზკულტურული საქმიანობის თაობაზე ბევრჯერ იმსჯელეს პროფკავშირულ კრებებზე, „ზევითაც“ კარგა მაგრად შეახურეს დირექტორი, მაგრამ მუშაობის გამოსწორების მიზნით მიღებული დადგენილებები დადგენილებად რჩებოდა.

სხვა გამოსავალი რომ არ იყო, დირექტორთან მოწინავე ახალგაზრდა მუშების დელეგაცია შეგზავნეს. გაიმართა ასეთი საუბარი:

— ჩვენ მოვითხოვთ გაერთიანებაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვას. ეს კიდევ უფრო აამაღლებს მუშა-მოსამსახურეთა შრომისნაყოფიერებას.

— უმაგისოდაც არა გვაქვს ცუდად საქმე.

— გარწმუნებთ, წარმატება უფრო მეტი გვექნება.

— არ მჯერა. მთელი გაერთიანების ახალგაზრდები ბურთს რომ გამოეკიდონ, ჩვენი „თეთრა“ ნელ-ნელა გაშავდება. მერე ვინ აგებს წუნისთვის პასუხს? რასაკვირველია, თქვენ არა, არამედ მე — დირექტორი.

— ფიზკულტურისა და სპორტის წყალობით „თეთრა“ რომ უფრო გათეთრდეს, მაშინ?

— ჩვენს „თეთრას“ გათეთრება აღარ სჭირდება!

ახალგაზრდებმა იგრძნეს, დირექტორთან საუბარი წყლის ნაყვა რომ იყო და გულდაწყვეტილებმა დატოვეს კაბინეტი.

... და ახლა აი, ეს სპორტის მოძულე თეთრაძე ტოვებდა სარბიელს. ეს ამბავი სადღაც გულის კუნჭულში უხაროდათ ახალგაზრდებს, მაგრამ გულიც სწყდებოდათ: საქმიანი დირექტორი იყო. მართალია, ფიზკულტურა არ უყვარდა. მაგრამ გაერთიანება ხომ მოწინავეთა რიგებში ჩააყენა...

— ახალი დირექტორი მოვიდა! — ხმა დაირხა გაერთიანებაში.

— მგონი, გვეშველა. ეგ ხომ ძველი ფეხბურთელი და კალათბურთელი შავაძეა.

— რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი და ფედერაციის თავმჯდომარეც გახლავთ.

ახალმა დირექტორმა თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება მოიწვია. ჯერ საამქროს უფროსები ალაპარაკა, შემდეგ — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ადგილკომის თავმჯდომარე.

დირექტორი ორატორთა გამოსვლებით ეტყობა, კმაყოფილი იყო. სახეზე ღიმილი უკრთოდა, როცა გაერთიანების კარგი მაჩვენებლების შესახებ ისმენდა სიტყვებს. შემდეგ შავაძემ დარბაზს თვალი მოავლო და იკითხა:

— ფიზკულტურის მეთოდისტი რას გვეტყვის?

ამის გაგონებაზე სკამიდან ზანტად წამოდგა არარსებულ ფიზკულტურელთა მეთაური თანრიგაძე და ზლაზვნით გასწია სცენისკენ.

— ცოტა სწრაფად, ამხანაგო, ასეთი ტემპით თუ მიდის ჩვენთან ფიზკულტურა და სპორტი, კარგად გქონიათ საქმე...

თანრიგაძე შუა გზაზე გაქვავდა.

— აი, ადგილზე რომ ვდგავარ, ასეთი ტემპით, პატივცემულო დირექტორო! სალაპარაკო არაფერი მაქვს.

თანრიგაძე უკან გაბრუნდა და სკამზე ხვნეშით დაეშვა. დირექტორმა პრეზიდიუმში მსხდომ ამხანაგებს გადახედა. მათ თავი ჩაღუნეს და ხელმძღვანელისთვისაც ყველაფერი ნათელი შეიქნა.

შავაძემ მათეთრებელი ფხვნილისა და შემფუთავი საამქროები გააერთიანა, ერთი უფროსი დაუნიშნა, შემფუთავი საამქროს შენობა გადააკეთ-გადმოაკეთა და დიდი სპორტული დარბაზი გახსნა. აშენდა სტადიონი, საცურაო აუზი, ფრენბურთის, კალათბურთისა და ჭიდაობის სპეციალური დარბაზები. თანამშრომლებში ხმა დაირხა: შავაძე ოლიმპიური თამაშების ჩატარებისთვის სპორტკომბინატ „თეთრას“ კანდიდატურის წამოყენებას აპირებსო. გაიხარეს სპორტის მოყვარულებმა, წარბი შეიკრეს საამქროთა ხელმძღვანელებმა.

კადრების საკითხსაც გადახედა ახალმა დირექტორმა. გამოცდილი მუშებიდან ბევრი პენსიაზე გაუშვა, ბევრს კიდევ სხვა ორგანიზაციაში სამუშაოდ დაულოცა გზა. „თეთრაში“ მოვიდნენ ახალგაზრდები: ფეხბურთელები, ფრენბურთელები, კალათბურთელები, მოჭიდავეები. ჩამოყალიბდა გუნდები სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. მოკლედ რომ ვთქვათ, მძლავრად გაჩაღდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. ამ ორგანიზაციის გუნდების, სპორტსმენების შექებისთვის კარგ სტრიქონებს არ იშურებდა პრესა. გაერთიანება „თეთრა“ დიდ სპორტულ ბანაკს უფრო დაემსგავსა, ვიდრე საწარმოო პროდუქციის გამომშვებ ორგანიზაციას. აქ მუშაობდნენ რესპუბლიკის გამოჩენილი სპორტსმენები, აქაური გუნდები ხშირად ადიოდნენ გამარჯვებულთა კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე.

ჯილდოს ჯილდო ემატებოდა, საპატიო სიგელს — საპატიო სიგელი. იმდენი დაგროვდა, საჭირო გახდა სპორტული მუზეუმის შექმნა და ისიც შეიქმნა. მას ხომ მეთვალყურე, ზუსტად რომ ვთქვათ, უფროსი უნდა ჰყოლოდა. და დანიშნეს კიდეც — ვეტერანი სპორტსმენი კუბოკინი. მართალია, ამ საშტატო ერთეულს ერთ-ერთი საამქროს ქვეოსტატი შეეწირა, მაგრამ დირექტორი კმაყოფილი იყო, საშვილიშვილო საქმე რომ გაკეთდა.

„თეთრას“ მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა სპორტულ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე იყო მივლინებული, რის გამოც თეთრეულის მათეთრებელი „თეთრა“ ოდნავ გაშავდა. თუ წინათ დიასახლისები სანთლით ეძებდნენ, ახლა „თეთრა“ რამდენიც გინდათ, იმდენი ეწყო სახალხო საქონლის მაღაზიების თაროებზე. ერთხელ გაზეთშიც დაიბეჭდა ერთი დიასახლისის წერილი, რომელიც ერთ დროს საქვეყნოდ განთქმულ „თეთრას“ შავ დღეს აყრიდა.

... ერთ დღეს „თეთრაში“ კვლავ ხმა დაირხა: დირექტორი მოხსნეს!

სიმართლე იყო — შავაძე გააშავეს სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე.

რომ იტყვიან მეტისმეტიც არ ვარგაო. სწორედ ასე მოუვიდათ „თეთრას“ ყოფილ დირექტორებს თეთრაძესა და შავაძეს.

P. S. სანამ ეს ფელეტონი დაიწერა და დასაბეჭდად გამზადდა, არც თუ ცოტა დრო გავიდა. მისი გაზეთში გამოქვეყნების წინადღით დავუკავშირდით „თეთრას“ საწარმოო გაერთიანებას და აი, რა გავიგეთ: ახალ დირექტორს მოსვლისთანავე დაურაზმავს მთელი საწარმო და მოკლე ხანში გაუმჯობესებულა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. არც სპორტს მოსვლია რაიმე ზიანი. ახლა შრომა და სპორტი თურმე თანაბარი პატივით სარგებლობენ და გაერთიანება წარმატებით იბრძვის ორივე ფრონტზე.

ზ. ჯაფარიძე.

სანქციები, სანქციები...

საბაზრო ქალაქების თასის მფლობელი „ლიდს იუნაიტედი“ ინგლისის მომავალ ჩემპიონატს დაჯარიმებული დაიწყებს. 14 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე მას უფლება ჩამოართვეს საკუთარ მინდორზე ითამაშოს. ეს გადაწყვეტილება ამას წინათ მიიღო ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ.

რაშია საქმე? ფედერაციამ განიხილა 17 აპრილს ლიდსის სტადიონზე მომხდარი ინციდენტი. ამ დღეს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ დაამარცხა „ლიდს იუნაიტედი“ (2:1) და ინგლისის ჩემპიონობის რეალური შანსი დაუკარგა. ლიდსელ გულშემატკივრებს ნერვებმა უღალატა: მათ საშინელი აურზაური ატეხეს, რის შემდეგ 32 მაყურებელი დაპატიმრებული იქნა.

გარდა თავის მინდორზე ერთი თვით თამაშის აკრძალვისა, „ლიდს იუნაიტედმა“ 500 გირვანქა სტერლინგი ჯარიმაც უნდა გადაუხადოს ფედერაციას.

ფედერაციის დისციპლინარულმა კომისიამ კიდევ ერთი საქმეც განიხილა: 26 აპრილს „ლივერპულმა“ ინგლისის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ მთლიანად სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანა და ძირითადი ფეხბურთელების ავადმყოფობა მოიმიზეზა. როდესაც „ლივერპულს“ პასუხი მოსთხოვეს, მან სათანადო საექიმო მოწმობაც კი წარადგინა.

2 დღის შემდეგ, ვითომც არაფერი მომხდარაო, „ლივერპულმა“ ყველა ძირითადი მოთამაშე გამოიყვანა „ლიდს იუნაიტედის“ წინააღმდეგ ევროპის საბაზრო ქალაქების თასის ნახევარფინალურ მატჩში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

„ლივერპული“ დაისაჯა ასეთი სიყალბისთვის. კლუბმა ფედერაციას დიდი თანხა (7.500 გირვანქა სტერლინგი) უნდა გადაუხადოს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 03007